საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1070
09.07.2026

ბრძანება

1070-01-4-202607091212

# გადაწყვეტილება

## შპს „მეგატესტის“ (ს/ნ 445657450) 2026 წლის 02 ივნისის N01/4988 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

### 1. ფაქტობრივი გარემოებები

#### 1.1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 02 ივნისს წარმოდგენილ იქნა შპს „მეგატესტის“ (ს/ნ 445657450) (შემდგომში - მომჩივანი/შპს „მეგატესტი“) საჩივარი (რეგ. N01/4988) მოპასუხე - სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის (ს/ნ 245645235) (შემდგომში - მოპასუხე/ცენტრი) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და მე-10 მუხლის (სახელმწიფო უწყებების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა) „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საჩივრის თანახმად, შპს „მეგატესტმა“ საქმიანობა აჭარის რეგიონში 2023 წლიდან დაიწყო. მომჩივნის განმარტებით, იგი წარმოადგენს რეგიონში მოქმედ პირველ აკრედიტებულ კერძო საგამოცდო ლაბორატორიას, რომელიც მომხმარებლებს სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული კვლევის კერძო მომსახურებას სთავაზობს.

მომჩივანი აცხადებს, რომ მას საქმიანობა უწევს არათანაბარი კონკურენციის პირობებში, საჯარო დაწესებულების სტატუსით მოქმედი ლაბორატორიის მხრიდან შექმნილი ხელოვნური ბარიერების გამო.

მომჩივანი მიუთითებს, რომ კერძო საგამოცდო ლაბორატორიის საქმიანობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან, მათ შორის, აკრედიტაციის მიღებასთან, აკრედიტაციის სფეროს გაფართოებასთან, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან. მისი განმარტებით, კერძო დაკვეთებიდან მიღებული შემოსავლები საერთო ბრუნვაში შედარებით მცირე წილს იკავებს, რის გამოც კერძო ლაბორატორიებისთვის შემოსავლის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ელექტრონულ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა წარმოადგენს.

საჩივრის მიხედვით, ცენტრი აქტიურად მონაწილეობს ლაბორატორიული მომსახურების (კლასიფიკატორის კოდი: CPV 71900000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში. მომჩივანის განმარტებით, მოპასუხე ტენდერებში აფიქსირებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალ ფასებს (ხშირ შემთხვევაში 20%-ზე მეტი კლებით), რის შედეგადაც კერძო ლაბორატორიები არათანაბარ კონკურენტულ პირობებში ექცევიან. აღნიშნულის დასადასტურებლად მომჩივანი მიუთითებს კონკრეტულ ტენდერებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც მომჩივანი, ისე მოპასუხე.[1]

ამასთან, მომჩივანი სადავოდ მიიჩნევს ცენტრის მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში. მისი განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რის საპასუხოდაც ცენტრისგან მიიღო წერილობითი განმარტება, რომლის თანახმადაც ცენტრი, საკუთარი დებულების საფუძველზე, ახორციელებს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გზით. მომჩივანი არ ეთანხმება აღნიშნულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული საქმიანობა თავისი შინაარსით წარმოადგენს არა დამხმარე, არამედ სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც იდენტურია კერძო საგამოცდო ლაბორატორიების საქმიანობისა. მისი შეფასებით, არსებულ პირობებში, კერძო საგამოცდო ლაბორატორიების ბაზარზე დამკვიდრებისა და განვითარების შესაძლებლობა ფერხდება, რადგან მათ კონკურენცია უწევთ საბიუჯეტო დაფინანსებით მოქმედ საჯარო დაწესებულებასთან.

შპს „მეგატესტი“ აცხადებს, რომ მოპასუხე ცენტრის მხრიდან ადმინისტრაციული და ფინანსური უპირატესობის გამოყენება ხდება (ვინაიდან მისი ბიუჯეტი ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბაზარზე ახლად შესული კერძო სუბიექტის წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს კანონის მე-6 და მე-10 მუხლების დარღვევას.

## 1.2. მოპასუხის პოზიცია

სააგენტოს წერილით[2] საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეგზავნა მომჩივანს პოზიციის წარმოსადგენად.

სააგენტოში წარმოდგენილ წერილობით პოზიციაში[3], მოპასუხე განმარტავს, რომ ცენტრი, წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის

[1] NAT260004658; NAT250023753; NAT250020584; NAT250020189; NAT250020186; NAT250020140; NAT240023169; NAT240021841; NAT230026473; NAT230003470
[2] რეგ. N02/3676; 03.06.2026
[3] რეგ. N01/5468; 16.06.2026

იურიდიულ პირს, რომელიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, ხოლო მისი საქმიანობა რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დამტკიცებული[4] შესაბამისი დებულებით.

მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივანის პოზიციას ცენტრის მიერ არსებითად სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესახებ და მიუთითებს, რომ მისი საქმიანობა ემსახურება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით განსაზღვრული სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებისა და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას. მოპასუხის განმარტებით, ცენტრი კანონმდებლობითა და მისი დებულებით განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში უზრუნველყოფს ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობის, ფიტოსანიტარიული კონტროლისა და გარემოს მონიტორინგთან დაკავშირებული კვლევებისა და მომსახურებების გაწევას და სხვა. შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით, ცენტრის საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართულია საჯარო ამოცანების შესრულებისკენ და არ წარმოადგენს არსებითად სამეწარმეო საქმიანობას. მოპასუხე მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია განახორციელოს დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში. მისი განმარტებით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა ემსახურება ცენტრისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას და წარმოადგენს მისი საქმიანობის დამხმარე კომპონენტს.

ამასთან, მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივანის პოზიციას შესაბამის ბაზარზე ცენტრის დომინანტური მდგომარეობის არსებობისა და მისი ბოროტად გამოყენების შესახებ. მოპასუხის განმარტებით, საჩივარი არ შეიცავს რაიმე მტკიცებულებას ან დასაბუთებას, რომელიც დაადასტურებდა ცენტრის დომინანტურ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე ან ასეთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს. შესაბამისად, მოპასუხის შეფასებით, არ არსებობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შემადგენლობის წინაპირობები.

რაც შეეხება კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობის შესახებ მომჩივანის მითითებას, მოპასუხე განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებზე. მოპასუხის პოზიციით, განსახილველი საჩივრის ფარგლებში ცენტრი განიხილება როგორც ეკონომიკური აგენტი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს, რის გამოც აღნიშნული ნორმის საფუძველზე მის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება გამორიცხულია.

მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივნის მოთხოვნებს და მიუთითებს, რომ ცენტრი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულ ტენდერებში

[4] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 24 ივლისის №23 დადგენილება

მონაწილეობს შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. მისი განმარტებით, მომჩივანი სადავოდ ხდის ცენტრის მონაწილეობას კონკრეტულ ელექტრონულ ტენდერებში[5] და დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ტენდერებში ცენტრის მიერ შეთავაზებული ფასები არასამართლიანია და კონკურენციის შეზღუდვას იწვევს.

ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ მითითებული ტენდერებიდან მხოლოდ ხუთ შემთხვევაში[6] ჩამოუვარდებოდა ცენტრის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას 20%-ზე მეტით. შესაბამისად, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, ცენტრმა თითოეულ შემთხვევაში წარადგინა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მოპასუხე დამატებით მიუთითებს, რომ მისი მოსაზრებით, საჩივარი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას ან მტკიცებულებას, რომელიც სადავო ტენდერებში ცენტრის მიერ შეთავაზებული ფასების არასამართლიანობას დაადასტურებდა. ამასთან, მოპასუხის მითითებით, ანალოგიურ ტენდერებში თავად მომჩივანი არაერთ შემთხვევაში აფიქსირებს ცენტრის მიერ შეთავაზებული ფასის მსგავსი ოდენობის საფასო წინადადებას, რაც, მისი შეფასებით, დამატებით ეჭვქვეშ აყენებს საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიის დასაბუთებულობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე აცხადებს, რომ ცენტრის მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს.

## 2. ნორმატიული რეგულირება

### 2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის

[5] NAT260004658; NAT250023753; NAT250020584; NAT250020189; NAT250020186; NAT250020140; NAT240023169; NAT240021841; NAT230026473 და NAT230003470

[6] NAT260004658; NAT250023753; NAT250020584; NAT250020140 და NAT230003470

პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება:

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. პროცედურის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1) საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან 2) საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

## 2.3. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-2 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს მის მიზნებს, კერძოდ:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე

ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ხოლო მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებას, კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

რაც შეეხება ელექტრონული ტენდერის ჩატარების პროცედურებს, აღნიშნულს არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“. ეს წესი მიზნად ისახავს როგორც ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, ასევე მისი ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაციასა და მონიტორინგს. აღსანიშნავია ამავე წესის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების გათვალისწინების შემთხვევაში სატენდერო კომისია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენას, თუ მის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით ნაკლებია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

## 3. სამოტივაციო ნაწილი

### 3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი, კომპლექსური ანალიზის შედეგად.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.[7]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების

[7] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10

ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[8] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.

შპს „მეგატესტის“ საჩივარში საუბარია კანონის მე-6 და მე-10 მუხლებით მუხლებით გათვალისწინებულ სავარაუდო დარღვევებზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა თითოეულ მუხლთან მიმართებაში შეფასდეს არსებული პრეტენზიის დასაბუთებულობა და გონივრული ეჭვის წარმოშობის საკითხი.

## 3.2. შესაბამისი ბაზარი

კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ამ განმარტებიდან გამომდინარე, კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.[9] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

---

[8] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=oj:JOC_2011_308_R_0006_01) §11; §12

[9] კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი.

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. [10]

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ მართებულად დადგინდეს შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები, აუცილებელია განისაზღვროს ისეთი ბაზარი, რომელსაც რელევანტური მნიშვნელობა გააჩნია მოცემული საჩივრის დასაშვებობის გადასაწყვეტად. მომჩივანის მიერ საჩივარში განსაზღვრული დავის საგანი შეეხება, ზოგადად, **სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მოპასუხის მიერ არასამართლიანი და არაადეკვატურად დაბალი ფასების შეთავაზებას და არა მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრულ ტენდერებს.**

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები; ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები; გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩო.

### 3.2.1. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისათვის სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მომჩივნის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებზე, კერძოდ, მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის მიერ ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის შედეგად არასამართლიანი და არაადეკვატურად დაბალი ფასების შეთავაზების გამო, მას არ ეძლევა შესაძლებლობა ჯანსაღი კონკურენცია გაუწიოს მოპასუხეს ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დატკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება,

[10] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8.1.2.

რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები, შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენის პროცესში პოტენციურად ურთიერთჩამანაცვლებელი პროდუქტების ჩანაცვლებადობის ხარისხი ფასდება თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით. რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენის პროცესშიც.

მომსახურების მახასიათებლების და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სპეციფიკის შესაბამისად, სააგენტოს მიერ, საჩივარში დასმული პრობლემიდან გამომდინარე, ქმედების შეფასებისას, კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით, **შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად შესაძლოა განვიხილოთ - სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის გზით, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ლაბორატორიული მომსახურების მიწოდება.**

### 3.2.2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

გასათვალისწინებელია, რომ სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ ამ სფეროში აკრედიტირებულ ეკონომიკურ აგენტებს, ხოლო ამ სფეროში გაცემული აკრედიტაციის მოწმობა, შესაბამისი აკრედიტაციის ვადით ვალიდურია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - მთელი ქვეყნის ტერიტორიას.

### 3.2.3. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩო

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

იმის გათვალისწინებით, რომ სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების მიწოდება რაიმე ტიპის სეზონურობასთან არ არის დაკავშირებული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაბამის ბაზარს დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

## შუალედური დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველი საჩივრის ფარგლებში სააგენტო ადგენს შესაბამისი ბაზრის შემდეგ საზღვრებს:

ა) შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები - სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის გზით, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ლაბორატორიული მომსახურების მიწოდების ბაზარი;

ბ) შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები - საქართველოს მთელი ტერიტორია;

გ) დროითი ჩარჩო - შესაბამის ბაზარს დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

***აღნიშნული საზღვრების გათვალისწინებით, განსახილველი საჩივრის ფარგლებში, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს - სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის გზით, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ლაბორატორიული მომსახურების მიწოდების ბაზარი.***

### 3.3. შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

#### 3.3.1. ცენტრი, როგორც ეკონომიკური აგენტი

უპირველეს ყოვლისა, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხზე - წარმოადგენს თუ არა ცენტრი ეკონომიკურ აგენტს.

სააგენტოსათვის სამართლებრივად ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს იმის იდენტიფიცირება, ზემოთ აღნიშნულ შესაბამის ბაზარზე ცენტრი, მიუხედავად მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს თუ არა ეკონომიკურ საქმიანობას და, შესაბამისად, წარმოადგენს თუ არა ეკონომიკურ აგენტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური აგენტის ცნებაზე. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, **რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.** უფრო ზუსტად, ეკონომიკური აგენტი (Undertaking) არის ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას - ე.ი. მოცემულ ბაზარზე საქონლის ან მომსახურების მიწოდებას - **ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, რეზიდენტობისა და დაფინანსების წყაროს მიუხედავად. ეკონომიკურ აგენტებად ჩაითვლება ისეთი საწარმოებიც, რომლებზეც პირდაპირ ან ირიბ კონტროლს**

**ახორციელებენ საჯარო უწყებები, მფლობელობის, ფინანსური მონაწილეობის ან მმართველობის წესის გამო.**[11]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მისი სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების გზის მიუხედავად, მიჩნეული უნდა იქნას ეკონომიკურ აგენტად.[12] აქვე გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას კონკრეტულ ბაზარზე, წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას[13].

უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ ცენტრი, მიუხედავად მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმისა, მისი დებულებით განსაზღვრული წესით, ახორციელებს დამხარე ხასიათის საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების მიწოდებას, რომელიც მისი შინაარსით წმინდა კომერციული საქმიანობაა და ექვემდებარება შესაბამის ანაზღაურებას, მომსახურების მიმღები პირისგან.

განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებისა და ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ ცენტრი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, რაც გამოიხატება სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების მიწოდებაში შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შესაბამისად, იგი მოცემული საქმიანობის ფარგლებში მოქმედებს, როგორც ეკონომიკური აგენტი.

### 3.3.2. სადავო ქმედების შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

განსახილველი საჩივარი, მათ შორის, ეხება მოპასუხის მხრიდან კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას. აღსანიშნავია, რომ დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ:

1. ქმედება ხორციელდება ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ;

2. ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

---

[11] კონკურენციის ტერმინთა განმარტების ლექსიკონი, 2019 წ. გვ. 52.

[12] საქმე C-41/90 Höfner and Elser [1991] ECR I-1979, პუნქტი 21, და გაერთიანებული საქმეები C-264/01, C-306/01, C-354/01 და C-355/01 AOK Bundesverband and Others [2004] ECR I-2493, პუნქტი 46.

[13] საქმე Case C-35/96 *Commission* v *Italy* [1998] ECR I-3851, პუნქტი 36, და Joined Cases C-180/98 to C-184/98 *Pavlov and Others* [2000] ECR I-6451, პუნქტი 75.

ხაზგასასმელია, რომ კანონის მე-6 მუხლით არ იზღუდება დომინანტური მდგომარეობის მოპოვება, არამედ აკრძალულია დომინანტი ეკონომიკური აგენტის ისეთი ცალმხრივი/ერთპიროვნული ქმედებები, რომლებიც მის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება. დომინანტური მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელია ჯანსაღი კონკურენციის პირობებშიც, თუკი შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი კონკურენტებზე ეფექტიანად დაგეგმავს საკუთარ საბაზრო სტრატეგიას. შესაბამისად, მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ქონა დარღვევას არ წარმოადგენს – დარღვევაა აღნიშნული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამდენად, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა ორივე ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა. აღნიშნულთაგან რომელიმე წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია, რომ სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ მომჩივანის მითითებით, მოპასუხის მხრიდან კანონის მე-6 მუხლის დარღვევა გამოიხატება სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, კერძოდ - ელექტრონულ ტენდერებში, არასამართლიანი და არაადეკვატურად დაბალი ფასების შეთავაზებაში, რაც, მისივე მტკიცებით, მიზნად ისახავს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნას.

ამ მიზნით სააგენტომ შეისწავლა საქმეში წარმოდგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, მათ შორის, მომჩივნის მიერ მითითებული ელექტრონული ტენდერების შესახებ ინფორმაცია.

მტკიცებულებად წარმოდგენილი 10 (ათი) ელექტრონული ტენდერის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, სააგენტომ სამ შემთხვევაში დააიდენტიფიცირა შესყიდვები[14], სადაც მოპასუხესთან  შედარებით უფრო დაბალი ან/და ყველაზე დაბალი ფასი თავად მომჩივან კომპანიას ჰქონდა დაფიქსირებული, ხოლო შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება მასთან გაფორმდა.

[14] NAT250020189; NAT250020186; NAT240021841

**შპს მეგატესტის გამარჯვებით დასრულებული ტენდერები**

| N | ტენდერი | შპს მეგატესტი | სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი | სავარაუდო ღირებულება | სავარაუდო ღირებულების %-ული შემცირება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | NAT250020189 | 16321 | 16440 | 20400 | -20 |
| 2 | NAT250020186 | 24403 | 24500 | 30500 | -20 |
| 3 | NAT240021841 | 334660 | 342480 | 427570 | -21 |




აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ბაზარზე კონკურენციის პროცესში მომჩივანი თავადაც აქტიურად იყენებს დაბალი ფასის სტრატეგიას. ამასთან, ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში ყველაზე დაბალი საფასო წინადადების წარდგენა და სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვება თავად მომჩივანმა შეძლო, მიუთითებს, რომ ბაზარზე კონკურენტული წნეხის მიუხედავად, ეკონომიკურ აგენტს არ ეზღუდება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისა და გამარჯვების შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოება არსებითია საჩივრის შეფასებისას, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება მომჩივნის პოზიციას, თითქოს მოპასუხე არაადეკვატურად დაბალი ფასებით სისტემატურად ცდილობს კონკურენტების ბაზრიდან განდევნას.

გარდა ამისა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონკრეტულ ტენდერში შესაბამისი სუბიექტი კონკურენტებთან შედარებით დაბალ ფასს აფიქსირებს, a priori არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ ქცევას. ფასობრივი კონკურენცია კონკურენტული ბაზრის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია, ხოლო კონკურენციის შეზღუდვის ფაქტის დადგენისთვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ფაქტობრივი

გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში არ იკვეთება.

სააგენტო დამატებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მომჩივანის აპელირებით, მოპასუხის მიერ ელექტრონულ ტენდერში დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის პირვანდელ სავარაუდო ღირებულებას 20%-ზე მეტით ჩამოუვარდება, რაც უმეტეს შემთხვევებში დასტურდება, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფასის კლების მაჩვენებელი 20%-ს არ აღემატება.[15]

**სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის გამარჯვებით დასრულებული ტენდერები**

| N | ტენდერი | შპს მეგატესტი | სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი | სავარაუდო ღირებულება | სავარაუდო ღირებულების %-ული შემცირება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | NAT260004658 | 10080 | 8127 | 10290 | -21 |
| 2 | NAT250023753 | 76160 | 69844 | 90708 | -23 |
| 3 | NAT250020584 | 10881 | 10676 | 13600 | -22 |
| 4 | NAT250020140 | 316480 | 295734 | 428600 | -31 |
| 5 | NAT240023169 | 83475 | 79500 | 92750 | -14 |
| 6 | NAT230026473 | 103730 | 90765 | 106622 | -15 |
| 7 | NAT230003470 | 224780 | 209975 | 299855 | -30 |




ამ კონტექსტში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული

[15] NAT240023169; NAT230026473

ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტს მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას 20%-ით ან მეტით ჩამოუვარდება. აღნიშნული რეგულირება მიუთითებს, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი ფასის დაფიქსირება თავისთავად არ იწვევს აღნიშნული ქმედების არამართლზომიერად მიჩნევას და საჭიროებს დამატებით შეფასებასა და შესაბამისი გარემოებების შესწავლას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხეს, დადგენილი რეგულირების ფარგლებში, იმ ელექტრონულ ტენდერებთან მიმართებით, რომლებშიც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას 20 პროცენტზე მეტით ჩამოუვარდებოდა, წარდგენილი აქვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. ამასთან, სააგენტო აღნიშნავს, რომ იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და წყვეტს მხოლოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შემთხვევებს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერებისა და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შეფასება სხვა უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება. ამდენად, სხვა უწყების/ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის განხილვა/შეფასება/გადაწყვეტა სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

მომჩივანი აგრეთვე აპელირებს, რომ 2023 წლიდან აჭარის რეგიონში ფუნქციონირებს, როგორც პირველი აკრედიტებული კერძო საგამოცდო ლაბორატორია სასურსათო/არასურსათო პროდუქტების ლაბორატორიული მომსახურების მიმართულებით, მიუხედავად ამისა, სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციით, იკვეთება რომ მომჩივანი ოპერირებს არა მხოლოდ აჭარის რეგიონში, არამედ მონაწილეობს და იმარჯვებს რეგიონის ფარგლებს გარეთ, საქართველოს მასშტაბით გამოცხადებულ გარკვეულ ტენდერებში, როგორიცაა მაგალითად ვანის მუნიციპალიტეტის "საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ გამოცხადებული ტენდერი[16], აგრეთვე შპს სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის მიერ გამოცხადებული ტენდერი, სადაც ხელშეკრულებაში მომსახურების გაწევის ადგილად განსაზღვრულია ქ. თბილისი და ამ უკანასკნელი ტენდერის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ ტენდერში აგრეთვე მონაწილეობდა ცენტრიც, სადაც მომჩივანმა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე (15`728.00 ლარი), 30%-ით ნაკლებ ფასად გაიმარჯვა ვიდრე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო[17].

შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები არ წარმოშობს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ქმედების არსებობის გონივრულ ეჭვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე დომინანტური მდგომარეობის არსებობა/არარსებობის საკითხის შეფასება

[16] NAT260003849
[17] NAT260003026

არარელევანტურია, ვინაიდან არ იკვეთება იმგვარი ქმედება, რომელიც prima facie შეიძლება შეფასდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, სახეზე არ არის სადავო ნორმის შემადგენლობა და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

### 3.4. შეფასება კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი აგრეთვე მიუთითებს რომ, ცენტრის მხრიდან დაირღვა კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები. მომჩივანის განმარტებით, აღნიშნული დარღვევა გამოიხატება მოპასუხის მიერ საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე ადმინისტრაციული და ფინანსური (საბიუჯეტო) უპირატესობის გამოყენებაში. კერძოდ, შპს „მეგატესტი“ მიუთითებს, რომ მოპასუხე სსიპ-ი, სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე, მონაწილეობს ელექტრონულ ტენდერებში ეკონომიკურ აგენტებთან ერთად და შესყიდვებში არაგონივრულად დაბალი ფასების დაფიქსირებით ახდენს კონკურენციის შეზღუდვას/ბაზრიდან კერძო ბიზნეს სუბიექტების განდევნას.

წარმოდგენილი საჩივრის დასაშვებობის შესწავლის ფარგლებში, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის დასადგენად, უნდა შეფასდეს:

1. წარმოადგენს თუ არა მოპასუხე კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს და, ამავდროულად, არის თუ არა იგი მოცემულ საქმეზე სათანადო მოპასუხე.

2. არსებობს თუ არა მოპასუხის მიერ კანონის მე-10 მუხლით აკრძალული ქმედების განხორციელების თაობაზე გონივრული ეჭვი.

#### ა) სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, როგორც სათანადო მოპასუხე კანონის მე-10 მუხლის ფარგლებში

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის და სხვა ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს „ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 24 ივლისის №23 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი წარმოადგენს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების ბაზაზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემაში. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ცენტრი, კანონმდებლობითა და დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსა და სსიპ – ,,აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ წინაშე. ამასთან, ცენტრი თავისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების მიზნით სარგებლობს სპეციალური უფლებაუნარიანობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

თუმცა, განსახილველი საქმის ფარგლებში შეფასებას საჭიროებს არა ცენტრის ზოგადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არამედ ის, თუ რა სტატუსით მონაწილეობს იგი იმ ურთიერთობებში, რომლებზეც მომჩივანი აპელირებს.

წარმოდგენილი საჩივრიდან ირკვევა, რომ მომჩივანი სადავოდ არ ხდის ცენტრის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მიღებულ რაიმე ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას ან განხორციელებულ ადმინისტრაციულ ქმედებას. საჩივარი უკავშირდება ცენტრის მონაწილეობას ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში. აღნიშნულ ურთიერთობებში ცენტრი მოქმედებს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საჯარო ხელისუფლებას ახორციელებს, არამედ როგორც ეკონომიკური აგენტი, რომელიც ოპერირებს შესაბამის ბაზარზე  და კონკურენციაში შედის სხვა ეკონომიკურ აგენტებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი მსჯელობა მოცემულია აგრეთვე ამ გადაწყვეტილების 3.3.1. ქვეთავში.

მომჩივნის არგუმენტაცია არსებითად ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მოპასუხე წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მისი საქმიანობა ნაწილობრივ

ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით. თუმცა, მხოლოდ აღნიშნული გარემოება, თავისთავად, არ ადასტურებს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სპეციალური სუბიექტის შემადგენლობის არსებობას.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი ზოგადად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, საჩივრით სადავოდ გამხდარი ქმედებების განხორციელებისას იგი მოქმედებს როგორც ეკონომიკური აგენტი.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საჩივრით სადავოდ გამხდარი ქმედებების განხორციელების ნაწილში ცენტრი არ წარმოადგენს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სათანადო მოპასუხეს, რის გამოც აღნიშნული ნორმის ფარგლებში კანონდარღვევის ნიშნების არსებობის შეფასების სამართლებრივი საფუძველი არ იკვეთება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით საჩივარი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი.

## დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით, ხოლო მომჩივანს ეკისრება ფაქტის მტკიცების ტვირთი. ამდენად, მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 და მე-10 მუხლებთან მიმართებით მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ პუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

## სარეზოლუციო ნაწილი

კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

## სააგენტომ დაადგინა

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „მეგატესტის“ (ს/ნ 445657450) 2026 წლის 02 ივნისის N01/4988 საჩივარი კანონის მე-6 მუხლის დარღვევასთან მიმართებით.

2. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „მეგატესტის“ (ს/ნ 445657450) 2026 წლის 02 ივნისის N01/4988 საჩივარი კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევასთან მიმართებით.

3. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი